*დანართი №1*

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

## ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
## სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 იანვარი, 2024 წელი

16 თებერვალი, 2024 წელი

### ანგარიშის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

### ანგარიშის მომზადების პრინციპები

ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინება
- თითოეული რეკომენდაციის ან/და რჩევის შესრულებისთვის ეფექტური მეთოდის/ მიდგომის შერჩევა-დაგეგმვა-განხორციელება
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული შესაბამისი პერსონალის ჩართვა
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების მტკიცებულებ(ებ)ის ფორმირება
- რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების შემაჯამებელი აღწერა და ანგარიშის ფორმირება

### ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების სახე | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **424066977** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | დონე 7 (მაგისტრატურა) |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი / Master in History of Georgian Literature |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | - |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი.<br>საქართველო 0800 |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია<br>შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული - 15/02/2023წ.<br>MES 9 23 0000178427 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2023 წლის 16 თებერვალი |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად | 2024 წლის 16 თებერვალი |

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალური სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| | განსაზღვრული ვადა, თარიღი | |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | **2030 წლის 16 თებერვალი** |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| ქვეყნის კოდი | GE/GEO |
| დაწესებულების მისამართი[6] | ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი.<br>საქართველო 0800 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://sjuni.edu.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | contact@sjuni.edu.ge; rector@sjuni.edu.ge |
| ტელეფონი | Tel: (+995 365) 22 19 90, (+995 365) 22 12 19 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი[7]** | პროფესორი მაკა ბერიძე |
| მობილური ტელეფონი | 591411288 |
| ელ-ფოსტისმისამართი | beridzemaka@gmail.com |
| **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დასახელება[8]** | განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი[9]** | ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური |
| მობილური ტელეფონი | 558 50 48 46 |
| ელ-ფოსტისმისამართი | beqauriguliko@sjuni.edu.ge |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი** | **მოწვ. პროფ. ნესტან სულავა** |
| მობილური ტელეფონი | 599 723488 |
| ელ-ფოსტისმისამართი | nestan.sulava@tsu.ge |
| **დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)ი[10]** | **ნინო მილაშვილი,** პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;<br>**მაია ქუქჩიშვილი,** ასოც. პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი |
| მობილური ტელეფონი | 599511053; 591411273 |
| ელ-ფოსტისმისამართი | n.milashvili@sjuni.edu.ge<br>kukchishvilimaia@sjuni.edu.ge |

[6] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[7] თანამდებობა/პოზიცია, სახელი, გვარი
[8] ასეთის არსებობის შემთხვევაში
[9] თანამდებობა/პოზიცია, სახელი, გვარი
[10] თანამდებობა/პოზიცია სახელი, გვარი

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[11]

1. პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიტერატურის თეორიების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებში.
2. დაკონკრეტდეს ცალკეულ სასწავლო კურსებში სავალდებულო და არჩევითის სტატუსები.
3. რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა სტრუქტურების რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება.
4. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
5. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა დაინერგოს ლიტერატურის თეორიების სასწავლო კურსი.
6. რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
7. რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
8. ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეუწყოს მაგისტრანტების მიერ მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული რესურსების გამოყენებას. ეს უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.
9. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ხედვა და განხორციელების კონკრეტული გეგმა.
10. პროგრამის ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული მინიმუმ ისე, რომ ყველა ხარჯი დაიფაროს შემოსავლებით, ან ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ზომები.
11. პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებული შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
12. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
13. რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
14. რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

**რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა, ჩართული პირების/სამუშაო ჯგუფის მითითებით**

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 9 23 0000178427 15/02/2023 წ. საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 14 რეკომენდაცია და 19 რჩევა, რისთვისაც განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 03.05.2023 წლის გადაწყვეტილება №03/06 საფუძველზე შეიქმნა ქართული ფილოლოგიის კლასტერის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) საგანამანთლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და ერთწლიანი ანგარიშის მოსამზადებლად თვითშეფასების ჯგუფი და პასუხისმგებლობების სფეროები განისაზღვრა აკრედიტაცის სტანდარტების, რეკომენდაციების, რჩევების შინაარსისა და პროგრამის შემუშავება/განხორციელებაში ჩართული პერსონალის პასუხისმგებლობებისა და კომპეტენციების შესაბამისად, რათა უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოსთვის უსდ-ს წარედგინა არგუმენტირებული პოზიციები, რეკომენდაციების და გათვალისწინებული რჩევების შესრულებისათვის გაწეული სამუშაოების შესახებ.

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად გაფართოებულ სხდომაზე მოხდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების განხილვა და შესრულების ვადების განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მითითებული ვადების დაცვით.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 10.07.2023 წლის გადაწყვეტილება № 06/04, ოქმი № 6-ის საფუძველზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც დამტკიცდა სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №34, 2023 წლის 30 ოქტომბრის №9 ოქმი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სრულად იქნა გათვალისწინებული „უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშში." თვითშეფასების დასრულებული ანგარიშის განხილვა მოხდა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

**სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და პასუხისმგებლობების სფეროები:**
**სამუშაო პროცესის კოორდინირება:**
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

**სამუშაო ჯგუფი:**
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი **ნინო მილაშვილი** (რეკომენდაციები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14);
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი** (რეკომენდაციები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14);
- ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორი **ნესტან სულავა** (რეკომენდაციები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14);
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი:
  ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ქეთინო გრძელიშვილი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
  ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **დალი ბეთხოშვილი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
  ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ვახტანგ ინაური** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
  ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი **ირინა ჯიშკარიანი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი **ხათუნა კვინცხაძე** (რეკომენდაციები: 6, 7, 8);
  - უნივერსიტეტის ფინანსური განყოფილების უფროსი **ეკა ვეფხიაშვილი** (რეკომენდაცია 9, 10)
- ჰორიზონტი 2020 ოფისის კოორდინატორი **მერი სახამბერიძე**

---

## რჩევ(ებ)ი[12]

1. გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.
2. უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება
3. დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
4. სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
5. სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.
6. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.
7. უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.
8. ჟურნალი „გულანი", რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
9. თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
10. გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
11. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.
12. შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.
13. აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
14. კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
15. სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
16. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.

[12] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

17. საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
18. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
19. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

## რჩევების შესრულების მიმოხილვა, ჩართული პირების/სამუშაოჯგუფისმითითებით

**სამუშაო პროცესის კოორდინირება:**
• სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
• განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

**სამუშაო ჯგუფი:**
• სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი **ნინო მილაშვილი** (რჩევები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19);
• განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი** (რჩევები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19);
• ქართული ლიტერატურის ისტორია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორი **ნესტან სულავა** (რჩევები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19);
• აკადემიური/მოწვეული პერსონალი (რჩევები: 5, 6, 10, 14);
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ქეთინო გრძელიშვილი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **დალი ბეთხოშვილი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ვახტანგ ინაური** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი **ირინა ჯიშკარიანი** (რჩევები: 5, 6, 10, 14);
• სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი **ხათუნა კვინცხაძე** (რჩევები: 11, 17);
• საზღვარგარეთთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი გურანდა მოდებაძე (რჩევები: 3, 7, 9, 12);
• უნივერსიტეტის ფინანსური განყოფილების უფროსი **ეკა ვეფხიაშვილი** (რჩევა: 16);
• საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **ვერიკო მოდებაძე** (რჩევები: 1);

## დამატებითი ინფორმაცია[13]

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

[13]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[14]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.1.პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია I | **პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიტერატურის თეორიების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებში.** |
| აღწერა | რეკომედაციის შესაბამისად, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის XI პუნქტში. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: 2. ექნება პრაქტიკული, თეორიული და მეცნიერული შესწავლის საფუძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართველ მწერალთა მემკვიდრეობის, ლიტერატურული კრიტიკის სფეროებში მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. აგრეთვე, ლიტერატურული ურთიერთობების პრობლემატიკაში, **ლიტერატურის თეორიის** - მეთოდოლოგიური კონცეფციებისა და მიმდინარეობების **გასააზრებლად.**<br><br>პროგრამის მიზნების ცვლილების შესაბამისი შესწორება განხორციელდა პუნქტში XII. სწავლის შედეგი. ცოდნა და გაცნობიერება ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები-სა და პრინციპების, მათი გამოვლინებების შესახებ ძველ, XIX და XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; სიღრმისეულად განიხილავს ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგის საკითხებს, სახეობრივი სისტემის ძირითად ასპექტებს, **ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლექსის თანამედროვე ტენდენციებს, მათი შესწავლის ისტორიას,** რაც საშუალებას მისცემს მას უკეთ დასპეციალდეს ლიტერატურის სფეროში.“<br>აგრეთვე, ცვლილება აისახა პუნქტში XIII. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და პუნქტში XV. სწავლის შედეგების შეფასება.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია.** |

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

| | |
|---|---|
| რჩევა I | |
| აღწერა | |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი** 1. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[15] | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[16] | 1.1. პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| **რჩევა I** | გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად. |
| აღწერა | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რჩევა, მუდმივად გასათვალისწინებელი საკითხია. რჩევის შესაბამისადაც გრძელდება და ძლიერდება ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ორიენტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე, რაც აღწერილია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები: „დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს".<br>რეგიონზეა ორიენტირებული **ქართული ლიტერატურის ისტორიის** სამაგისტრო ნაშრომების თემები. |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 4.** საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა;<br>[https://ln.run/HoQ4W](https://ln.run/HoQ4W) |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[17] | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[18] | 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| **რჩევა II** | უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება. |
| აღწერა | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია ოთხი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართველური |

[15]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[16]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[17]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[18]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| | ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>რჩევის შესრულების მიზნით კრიტიკულად გადაიხედა სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები და დადარდა სადოქტორო და საბაკალავრო საფეხურების პროგრამებს. აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციებით უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად შეიძლება განსხვავებული იყოს სილაბუსების დონეზე თავიდან ავიცილოთ დაახლოება და ხელი შევუწყოთ პროგრამების ერთმანეთთან გამორჩეულობის პროცესს.<br>**ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია (XX საუკუნე)“;<br>**ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „ქართული ენის გრამატიკა“, სტრუქტურიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, იმის გათვალისწინებით, რომ „ქართველოლოგიის შესავალი“ არის საბაკალავრო პროგრამაში და „დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები“ არის სადოქტორო პროგრამაში.<br>**ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა ორი ახალი სასწავლო კურსის სილაბუსი „მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია“ და „ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ჰიმნოგრაფია“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურის სახისმეტყველებითი ასპექტები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „შოთა რუსთველი აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა კონტექსტში“ მოდიფიცირდა და წარმოდგენილია სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურისა და ცივილიზაციურ კონტექსტში“. ასევე მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „მეოცე საუკუნის ქართული რომანი“ და წარმოდგენილია სახელწოდებით „მეოცე საუკუნის ქართული რომანი |

| | |
|---|---|
| | მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში“;<br><br>**ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები“.<br><br>ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული ოთხივე პროგრამის სტრუქტურის ცვლილებების შესაბამისად, იგივე ცვლილებები აისახა პროგრამების შემდეგ პუნქტებში: XV. სწავლის შედეგების რუკა და XVI. სწავლის შედეგების შეფასება.<br>ამ მიმართულებით გრძელდება პროგრამების სრულყოფა.<br>უსდ მოგახსენებთ, რომ კიდევ ერთხელ დეტალურად გადაიხედა ყველა სილაბუსი და დუბლირების ნაწილი შესწორებულია:<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 1**. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები:<br>**დანართი 5.** ქართული ფილოლოგიის კლასტერის კურიკულუმები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[19] | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[20] | 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| **რჩევა III** | **დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.** |
| აღწერა | გააქტიურდა კონტაქტი ჰუმანიტარული მიმართულების საერთაშორისო პარტნიორებთან. მიღებულია პირველი შედეგები: 2024 წლის მაისში სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხი წარმომადგენელი მიემგზავრება საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტში. ოთხივე მათგანი ქართული ფილოლოგიის კლასტერიდან არის (ორი სტუდენტი, ერთი დოქტორანტი, ერთი პედაგოგი). პარალელურად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა არსებული კონტაქტების შესაბამისად, გვაქვს მოლაპარაკება ურთიერთობაზე თურქეთის ახალ უნივერსიტეტთან, გაცვლილია მემორანდუმის სამუშაო ვერსია, საქმე თურქეთში ერთობლივად |

[19]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| | ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებას ეხება. მაისში ქ. ანკარაში კლასტერის პროგრამების ორი ხელმძღვანელი გამართავს შეხვედრას ერთობლივი კვლევების პერსპექტივაზე მესხეთთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე.<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 3.** ინტერნაციონალიზაცია<br>https://ln.run/7F_CQ |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| **რეკომენდაცია III** | **რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადახედვა სტრუქტურების რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება.** |
| აღწერა | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია ოთხი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>რჩევის შესრულების მიზნით კრიტიკულად გადაიხედა სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები და დადარდა სადოქტორო და საბაკალავრო საფეხურების პროგრამებს. აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციებით უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად შეიძლება განსხვავებული იყოს სილაბუსების დონეზე თავიდან ავიცილოთ დაახლოება და ხელი შევუწყოთ პროგრამების ერთმანეთთან გამორჩეულობის პროცესს.<br>**ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია (XX საუკუნე)“;<br>**ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „ქართული ენის გრამატიკა“, სტრუქტურიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, იმის გათვალისწინებით, რომ „ქართველოლოგიის შესავალი“ არის საბაკალავრო პროგრამაში და „დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები“ არის სადოქტორო პროგრამაში. |

| | |
|---|---|
| | **ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა ორი ახალი სასწავლო კურსის სილაბუსი „მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია“ და „ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ჰიმნოგრაფია“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურის სახისმეტყველებითი ასპექტები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „შოთა რუსთველი აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა კონტექსტში“ მოდიფიცირდა და წარმოდგენილია სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურისა და ცივილიზაციურ კონტექსტში“. ასევე მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „მეოცე საუკუნის ქართული რომანი“ და წარმოდგენილია სახელწოდებით „მეოცე საუკუნის ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში“;<br><br>**ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები“.<br><br>ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული ოთხივე პროგრამის სტრუქტურის ცვლილებების შესაბამისად, იგივე ცვლილებები აისახა პროგრამების შემდეგ პუნქტებში: XV. სწავლის შედეგების რუკა და XVI. სწავლის შედეგების შეფასება.<br>ამ მიმართულებით გრძელდება პროგრამების სრულყოფა.<br>უსდ მოგახსენებთ, რომ კიდევ ერთხელ დეტალურად გადაიხედა ყველა სილაბუსი და დუბლირების ნაწილი შესწორებულია:<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| რჩევა I | |
| აღწერა | |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 1**. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები:<br>**დანართი 5.** ქართული ფილოლოგიის კლასტერის კურიკულუმები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები |

| | |
|---|---|
| | და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.5 სასწავლო კურსი/საგანი |
| რეკომენდაცია II | **დაკონკრეტდეს ცალკეულ სასწავლო კურსებში სავალდებულო და არჩევითის სტატუსები.** |
| აღწერა | რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში შესწორდა ცალკეული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის და არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსები.<br>ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას დაემატა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწალო კურსები:<br>**ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები;**<br>**მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია.**<br>ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწალო კურსებიდან ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებში გადმოტანილია სასწავლო კურსი **ქართული ჰიმნოგრაფია.**<br>შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სილაბუსებსა და პროგრამის სტრუქტურაში.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია.** |
| რჩევა I | |
| აღწერა | **დანართი** 1. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები |
| მტკიცებულებ(ები)ა | |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.5 სასწავლო კურსი/საგანი |
| რეკომენდაცია IV | **სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.** |
| აღწერა | რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დეტალურად გადაიხედა ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები. სავალდებულო ლიტერატურიდან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ნაწილი და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტები ამოღებულია, ნაწილი საჟურნალო სტატიებისა გადავიდა დამხმარე ლიტერატურაში. ორიოდე შემთხვევა დარჩა მხოლოდ იქ, სადაც მოითხოვს კონკრეტული საკითხი.<br><br>რეკომენდაცია შესრულებულია. |

| | |
|---|---|
| რჩევა I | |
| აღწერა | |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 1.** ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.5 სასწავლო კურსი/საგანი |
| **რეკომენდაცია V** | **ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა დაინერგოს ლიტერატურის თეორიების სასწავლო კურსი.** |
| აღწერა | რეკომენდაციის შესაბამისად, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, შემუშავდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით ახალი სასწავლო კურსი: „**ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“.**<br>ასევე შემუშავდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით ახალი სასწავლო კურსი: **მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია.**<br>**რეკომენდაცია შესრულებულია.** |
| რჩევა I | |
| აღწერა | |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 1.** ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები:<br>• ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები;<br>• მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.5. სასწავლო კურსი/საგანი |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| **რჩევა IV** | **სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.** |

| | |
|---|---|
| აღწერა | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებულია ოთხი პროგრამა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>რჩევის შესრულების მიზნით კრიტიკულად გადაიხედა სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები და დადარდა სადოქტორო და საბაკალავრო საფეხურების პროგრამებს. აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციებით უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივად შეიძლება განსხვავებული იყოს სილაბუსების დონეზე თავიდან ავიცილოთ დაახლოება და ხელი შევუწყოთ პროგრამების ერთმანეთთან გამორჩეულობის პროცესს.<br>**ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია (XX საუკუნე)“;<br>**ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „ქართული ენის გრამატიკა“, სტრუქტურიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, იმის გათვალისწინებით, რომ „ქართველოლოგიის შესავალი“ არის საბაკალავრო პროგრამაში და „დიგიტალური ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები“ არის სადოქტორო პროგრამაში.<br>**ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა ორი ახალი სასწავლო კურსის სილაბუსი „მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია“ და „ლიტერატურის თეორია - მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ჰიმნოგრაფია“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურის სახისმეტყველებითი ასპექტები“.<br>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი „შოთა რუსთველი აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა კონტექსტში“ მოდიფიცირდა და წარმოდგენილია სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი“ |

| | |
|---|---|
| | მსოფლიო ლიტერატურისა და ცივილიზაციურ კონტექსტში“. ასევე მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „მეოცე საუკუნის ქართული რომანი“ და წარმოდგენილია სახელწოდებით „მეოცე საუკუნის ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში“;<br><br>**ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილება:** ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „XX-XXI საუკუნეების კრიტიკული აზროვნების აქტუალური პრობლემები“.<br><br>ქართული ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული ოთხივე პროგრამის სტრუქტურის ცვლილებების შესაბამისად, იგივე ცვლილებები აისახა პროგრამების შემდეგ პუნქტებში: XV. სწავლის შედეგების რუკა და XVI. სწავლის შედეგების შეფასება.<br>ამ მიმართულებით გრძელდება პროგრამების სრულყოფა.<br>უსდ მოგახსენებთ, რომ კიდევ ერთხელ დეტალურად გადაიხედა ყველა სილაბუსი და დუბლირების ნაწილი შესწორებულია:<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 1.** ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები:<br>**დანართი 5.** ქართული ფილოლოგიის კლასტერის კურიკულუმები; |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.5. სასწავლო კურსი/საგანი |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| **რჩევა V** | **სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.** |
| აღწერა | რეკომენდაციის, სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება, შესრულება დაკავშირებულია იყო სასწავლო კურსების: „შესავალი ქართველოლოგიაში“ და „შესავალი სოციოლინგვისტიკაში“ დასახელებების სწორად ფორმულირებას.<br>სასწავლო კურსის „შესავალი ქართველოლოგიაში“ დასახელება შესწორდა და ეწოდა „ქართველოლოგიის შესავალი“ და „შესავალი სოციოლინგვისტიკაში“ შეიცვალა სახელწოდებით „სოციოლინგვისტიკის შესავალი“.<br>აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილებები განხორციელდა პუნქტებში: XV. პროგრამის სტრუქტურა, |

| | |
|---|---|
| | კრედიტები და სასწავლო გეგმა: XVI. სწავლის შედეგების რუკა და თვითონ სილაბუსებში.<br><br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 5.** ქართული ფილოლოგიის კლასტერის კურიკულუმები - ფურცელი; |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| რჩევა VII | **უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.** |
| აღწერა | რჩევა მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე უნივერსიტეტი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განიხილავს ჩართვას ერთობლივად ორგანიზებულ საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობაში. |
| მტკიცებულებ(ები)ა | |

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| რჩევა VIII | **ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.** |
| აღწერა | რჩევის შესაბამისად, გრძელდება მუშაობა ERIHplus-ის ბაზაში ინტეგრირებისთვის. პროცესს უძღვება უნივერსიტეტში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პერსონალი, რომლის მოვალეობაა როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული გამოცემის ტექნიკური რედაქტორობა. ERIHplus-დან მიღებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების პროცესი დაწყებულია.<br>The international scientific peer reviewed journal Gulani<br>Hide quoted text<br>Bibliographic Information<br>Original title: The international scientific peer reviewed journal G<br>International title: The international scientific peer reviewed journal G |

| | |
|---|---|
| | URL: http://www.sjunijournals.ge/index.php/GA<br>Language: Multiple languages<br>p-ISSN: 1987-6157<br>e-ISSN: 2720-8303<br>Publisher: Samtskhe-Javakheti State University Publishing Hou<br>Discipline(s): History<br>Linguistics<br>Literature<br>Pedagogical & Educational Research<br>Editorial board: http://www.sjunijournals.ge/index.php/GA/about/ec<br>Peer review: http://www.sjunijournals.ge/index.php/GA/about<br>Authorship: http://www.sjunijournals.ge/index.php/GA/issue/arc<br>Abstracts: http://www.sjunijournals.ge/index.php/GA/issue/vie<br>Processing completed<br>Not approved<br>The processing of the journal "The international scientific peer reviewed journal Gulani" has been finalised.<br>Hide quoted text<br>Unfortunately, the journal was not approved for inclusion in ERIH PLUS.<br>We are unable to find information about the periodicity of the journal's publication. Periodicity is important and we need to ensure that the journal has good processes in place for this. Additionally, information about the authors is also incomplete.<br>Hide quoted text<br>The criteria for inclusion of new journals are available at:<br>https://dbh.nsd.uib.no/publiseringskanaler/erihplus/about/criteria_for_inclusion<br>Best regards,<br>The ERIH PLUS team<br>https://erihplus.hkdir.no/<br>https://www.facebook.com/ERIHPLUS<br>https://www.twitter.com/ERIHPLUS<br>**New information may be presented by resubmitting**<br>Comments<br>Comments in ERIH PLUS are treated confidential and are only visible for its submitter and ERIH PLUS team. |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 3**. ინეტრნაციონალიზაცია |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |

| | |
|---|---|
| რჩევა IX | **თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.** |
| აღწერა | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ- და ფეიბუქგვერდების საშუალებით სისტემატურად ხდება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროექტების, მათ შორის გაცვლითი პროგრამების შესახებ განახლებული ინფორმაცის მოწოდება.<br>• მიმდინარე სემესტრში კლასტერის ოთხი წარმომადგენელი მიემგზავრება საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტში;<br>• ორი სტუდენტი დარეგისტრირებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ლუვენის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტთან (ბელგია) თანამშრომლობით დაგეგმილ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2023 წლის 20 ივლისის საგრანტო ხელშეკრულებით №MG-ISE-23-2229 დაფინანსებულ ინსტიტუციურ პროექტს - მე-7 საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში "ქართული ხელნაწერი".<br><br>• სამი სტუდენტი, რომელიც ამავე უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის წევრები არიან, დარეგისტრირებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლაში „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“.<br><br>• სტუდენტები მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, იურისტთა უმაღლესი სკოლის ჩართულობით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამართული კვირეულის ,,აღმოაჩინე აფხაზეთი” დასკვნით სემინარზე, გადაეცათ სერტიფიკატები.<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | **დანართი 3**. ინტერნაციონალიზაცია<br>https://www.facebook.com/profile.php?id=100063669573565<br>https://sjuni.edu.ge/კონფერენციები-2/ |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის |

| | ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| რჩევა X | **გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.** |
| აღწერა | საანგარიშო პერიოდშიც მიმდინარეობს და გაგრძელდება როგორც სილაბუსებით განსაზღვრული მასალის უკეთ ასათვისებლად სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა, ასევე მათი ტრანსფერული უნარების გასაძლიერებლად სხვადასხვა სახის ღონისძიებები.<br>გრძელდება ტრენინგები დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის.<br>**ტრენინგ-მოდული მოიცავს:**<br>კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა;<br>საცნობარო მართვის სისტემების გამოყენება.<br>აკადემიური წერის საუკეთესო პრაქტიკა (სამეცნიერო ბაზებში გამოქვეყნებული ნაშრომების ანალიზი).<br>საკონფერენციო ნაშრომის მომზადება, მისი სპეციფიკა (საკონფერენციო ნაშრომისა და სამეცნიერო სტატიის მსგავსება-განსხვავება);<br>2023 წლის 28 ნოემბერს, უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ***„სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესება ელექტრონული რესურსების გამოყენებით“.*** ტრენინგს უძღვებოდა ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი. ტრენინგზე განხილული იყო: ELSEVIER-წამყვან საერთშორისო ონლაინ გამომცემლობაში, Scopus-სა და ScienceDirect სამეცნიერო ბაზების მუშაობისა და ძიების საფუძვლები. პრაქტიკული მაგალითების განხილვით, სტუდენტებს მიეწოდათ დაწვრილებითი ინფორმაცია სასურველი მასალის მოპოვებისა და მათი გადმოწერის საშუალებები. ნაჩვენები იქნა ვიდეოინსტრუქცია და ამ ბაზებისთვის განკუთვნილი სამუშაო ინსტრუქციები.<br>საერთაშორიო განათლების კვირეულის ფარგლებში 2023 წლის 15 ნოემბერს, ამერიკული განათლების კონსულტანტისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პედაგოგისა და მოწვეული მშვიდობის კორპუსის მოხალისის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო სამუშაო შეხვედრა სტუდენტებისათვის თემაზე: ***„როგორ დავწეროთ სამოტივაციო წერილი ამერიკული გაცვლითი პროგრამებისათვის“,*** რაც ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებს წარმატებით შეავსონ განაცხადი ამერიკის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული |

| | |
|---|---|
| | გაცვლითი პროგრამებისათის.<br>**რჩევა გათვალისწინებულია.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | https://www.facebook.com/profile.php?id=100063669573565<br>https://sjuni.edu.ge/ტრენინგი-დოქტორანტებისთ/<br>**დანართი 7.** ტრენინგების ფოტომასალა |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| **კომპონენტის დასახელება** | **2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| რეკომენდაცია | |
| აღწერა | |
| რჩევა XI | **საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.** |
